



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 77/ს
10/05/2022

77-21-4-202205101552



**ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძირულაში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“
ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე
სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძირულაში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძირულაში, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის (ს-1) საავტომობილო გზის მიმდებარედ, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 792 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.16.39.192). საპროექტო ობიექტის GPS კოორდინატებია: X - 348223.20, Y - 4661381.94. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ძირულა, მიედინება დაახლოებით 12 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 74 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2011 წლიდან და ტერიტორიაზე მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: ოფის-მარკეტის შენობა, საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული (2 ერთეული, ორმხრივი მარიგებელი სვეტი), ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და მეხამრიდი. ობიექტის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია 3 ცალი ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელთაგან ორი ერთეული (14,638 მ³ და 9,212 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო ერთი ერთეული (70,994 მ³) - დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, ბეტონის სარკოფაგში. თითოეული მათგანი დამზადებულია ლითონისგან, დაფარულია ანტიკოროზიული საღებავის ორი ფენით და აღჭურვილია

სასუნთქი სარქველებით. რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტები, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც ხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწვავის რეალიზაციის გაზრდის მიზნით, ობიექტზე დაგეგმილია სამი ცალი რეზერვუარის დამატება, რომელთაგან ორი ერთეული (14.861 მ³ და 5.0 მ³) განკუთვნილი იქნება ბენზინის საწვავისთვის, ხოლო ერთი ერთეული (10.568 მ³) - დიზელის საწვავისთვის. საპროექტო რეზერვუარები დამზადდება ლითონისაგან, რომლის კედლის სისქე იქნება 10 მმ, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე – 2,5 მ, დიამეტრი – 0,05 მ). საპროექტო რეზერვუარები განთავსდება ბეტონის სარკოფაგში და მათ შორის არსებული სიცარიელები შეივსება ღორღით. ავტოგასამართ სადგურზე არსებული საწვავმარიგებელი სვეტების რაოდენობა დარჩება უცვლელი და იფუნქციონირებს 2 ერთეული, ორმხრივი მარიგებელი სვეტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტზე წლიურად დაგეგმილია 800 მ³ ბენზინისა და 800 მ³ დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე სარეალიზაციო საწვავის მიღება ხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით. ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებული იქნება 4-6 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს დამატებით ახალი ტერიტორიების ათვისებას და მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებას. საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბეტონის საფარის ამოჭრა, სარკოფაგში პროექტით გათვალისწინებული 3 ერთეული (ჯამურად 125,273 მ³) რეზერვუარის განთავსება და ზედაპირის ისევე ბეტონის საფარით დაფარვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება გათვალისწინებულია მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლები იკრიბება სპეციალურ ავზში, რომლის დაცლაც ხორციელდება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ასენიზაციის მანქანებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები იკრიბება ობიექტზე არსებულ სანიაღვრე ქსელში, საიდანაც გადაინაცვლებს ნავთობდამჭერ სალექარში. სალექარში წარმოქმნილი ნარჩენები, დროებით დასაწყობდება ობიექტის ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვების მქონე კომპანიას. ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსებულია გადახურულ (ფარდულის ტიპის) ნაგებობაში, ხოლო საპროექტო ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით. შესაბამისად, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ძირულა, დაშორებულია 12 მეტრით. ვინაიდან, ტერიტორია დაფარულია ბეტონის საფარით,

აღჭურვილია ნავთობდამჭერი სალექართა და ნავთობპროდუქტების რეზერვუარების განთავსება დაგეგმილია ბეტონის მიწისქვეშა სარკოფაგში, რომელიც უზრუნველყოფილია ჰიდროსაიზოლაციო ფენით, მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და ზედაპირული წყლის ობიექტზე, კერძოდ, მდ. ძირულაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომელთა შეგროვება მოხდება სეპარირებულად, ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა განხორციელდება შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ავტოგასამართი სადგურის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება საწვავის მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება ობიექტის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმოქმნილი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ხმაურის გავრცელების კანონმდებლობით დასაშვები დონეების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგური არ მდებარეობს ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება. ავტოგასამართი სადგური მდებარეობს უკვე ათვისებულ, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც წარმოდგენილი არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. შესაბამისად, პროექტის განხორციელებით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 74 მეტრში მდებარეობს სახელმწიფო ტყე. სკრინინგის განცხადების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო რეზერვუარების განთავსება დაგეგმილია მიწის ქვეშ, არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და დამატებით ახალი ტერიტორიების ათვისება გათვალისწინებული არ არის, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ობიექტი უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემითა და დამონტაჟებულია მეხამრიდი. დამატებით, კომპანიის მიერ ავტოგასამართ სადგურზე დაგეგმილია პირველადი ქრობის საშუალებებისა (ცეცხლმაქრები) და ხანძრის აღმომჩენი სიგნალიზაციის განთავსება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არ ფიქსირდება მსგავსი პროფილის მქონე ობიექტი. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრების და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძირულაში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად,

უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო